პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!



წითელი მხედარი

1923
ნოემბერი
23
პარასკევი
შესან. მოვლენათა დღიური

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მან. 20 კ.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და [illegible] ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 391 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 5 კაპ. ჩერ. № 391

ჩვენ უნდა ვიყოთ ძლიერი.

ჩვენ უნდა ვიყოთ ძლიერი. ხვალ ჩვენ უძლიერესი უნდა ვიყოთ, ვინემ დღეს, ზეგ უფრო ძლიერი, ვინემ ხვალ. ამას გვიკარნახებს ჩვენ დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა. ასეთ დასკვნას უკეთებს ამხ. კამენევი საბჭოთა ხელისუფლების ს. ს. რ. კავშირის ყველა მშრომელთა ამოცანებს, გამოდის რა საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზიდან,

ცენტრალურ ევროპის კლასთა ანტაგონიზმი, რომელიც თან და თან ძლიერდება, და მუშათა კლასსა და რეაქციის შორის ბრძოლის გამწვავება ნათლად გვეუბნება იმას, რომ ჩვენ ვდგევართ დიდ შემთხვევათა მოლოდინში.

მეორეს მხრივ ჩვენი მეზობლების საქციელი, როგორც მაგალითად პოლონეთის, რომელიც „ჩვენს წინადადებაზე — დაეცვა ჩვენი საზავო პირობები" მან გვიპასუხა „რომ ის საჭიროდ ხედავს დარჩეს ხელებ გახსნილი", გვაძლევს ჩვენ საბაბს-ვიფიქროთ იმპერიალისტურ ქვეყნების აგრესიულ ნაბიჯებზე საბჭოთა ფედერაციის მიმართ.

თუნდაც შვეიცარიის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც უსინდისოდ და ცინიკურად გაამართლა ამხ. ვოროვსკის მკვლელები და პროცესზე ცდილობდა დაეცა რუსეთის პრესტიჟი, ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს თუ როგორი მოწამლული ბოროტებით სუნთქავს საზღვარ გარეთელი ბურჟუაზია ჩვენ მიმართ.

ყველაფერი ეს რა თქმა უნდა გვიკარნახებს ჩვენ იმას, რომ მტკიცედ ვიდგეთ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების ინტერესთა სადარაჯოზე, ფხიზლად ვადევნოთ თვალი ჩვენს მტრებს და იმავე დროს ერთი წუთითაც არ გაუშვათ ხელიდან ნამგალი და ჩაქუჩი.

მომენტი და ჩვენი კეთილდღეობა დაჟინებით მოითხოვს ჩვენგან, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ძლიერი.

ხოლო ამას ჩვენ მივაღწევთ მაშინ, როცა ჩვენ გაძლიერებით და ენერგიის გაასკეცებით განვაგრძობთ დაწყებულ მუშაობას ჩვენი დარღვეული მეურნეობის აღდგენის საქმეში.

ჩვენი მეურნეობის სრულიად აღორძინების ამოცანიდან ჩვენ ადვილად არ დავიხევთ უკან. საჭიროა არა უმნიშვნელო კბენა მზგავსად ამხ. ვოროვსკის მკვლელებისადმი სასჯელის მისჯისა არამედ მეტად დიდი საფუძველია საჭირო იმისთვის, რომ ჩვენ უარი ვსთქვათ მშვიდობიან შრომაზე და წავიდეთ გადამწყვეტ ცდებისაკენ" ასე ამთავრებს ამხ. კამენევი თავის სიტყვას.

ჩვენ მზად ვიყვეთ ყოველგვარ მოსალოდნელი შემთხვევისათვის. ამისათვის წ. არმია, მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა მზად უნდა იყვნენ, იმუშაონ და იშრომონ სრულ გამარჯვებამდე ჩვენი მეურნეობის აღორძინების და საბჭოთა ძალთა უფლების განმტკიცების საქმეში.

გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტები.

ასეთი კომიტეტები კარგა ხანია არსებობენ რუსეთში. ბოლოს ის ჩვენშიაც მოეწყო ბევრ ალაგას. დღესაც დიდი მუშაობა სწარმოებს მათ გასავრცელებლად.

დიდია გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების ამოცანა. მისი იდეია მეტად სიმპატიური და სერიოზულია.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ საშუალებას მიმართავს სოფლის მეურნეობის ასაყვავებლად, გლეხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ ჩვენი მთავრობა მეტად ღარიბია. მას არ აქვს იმდენი საშუალება, რომ ყოველი მოთხოვნილება და გაჭირვება გლეხის დააკმაყოფილოს. საბჭოთა მთავრობას თავის მუშაობაში თვით მშრომელები უნდა დაეხმარონ, მშრომელებმა უნდა გამოიჩინონ აქტივობა, იზრუნონ საკუთარ მდგომარეობაზე და საბჭოთა მთავრობა მათ ყველაფრით დაეხმარება.

მშრომელთა თვითმოქმედება განსაკუთრებით საჭიროა სოფლად. გლეხობა წინად განიცდიდა ჩაგვრას და ყოველ მხრივ შევიწროებას. გლეხობა დაქსაქსული იყო. ის შეჰყურებდა მხოლოდ თავის მიწას და კოლექტიურ, ამხანაგურ შრომაზე არ ფიქრობდა. ამ მხრივ გაცილებით უკეთეს პირობებში იყვნენ ქალაქის მუშები, რომლებიც გაერთიანებულნი და დარაზმულნი იყვნენ ორგანიზაციებში.

გლეხის ბუნება მუდამ ინდივიდუალური იყო, ქალაქის მუშის კი კოლექტიური.

ასეთ მოვლენის გამო გლეხობა რაიმე გაჭირვებას, უბედურებას მოუმზადებელი ხვდებოდა და მისი შედეგი მძიმე უღლად აწვებოდა მას კისერზედ.

სოფლებში ბევრია ისეთი ელემენტები, რომლებსაც არ აქვთ საშუალება საკუთარი შრომით გამოკვებონ ოჯახი. ასეთები არიან ქვრივობლები, რომელთა მარჩენალნი დაიღუპენ ომებში ან ისე დაიხოცნენ. ბევრია აგრეთვე ომის ინვალიდები, დაჭრილ-დასახიჩრებულნი, რომელთაც შრომის უნარი სავსებით ან ნაწილობრივ დაკარგული აქვთ.

ასეთ ელემენტებს უნდა გაუწიონ დახმარება გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტებმა. გლეხთა კომიტეტებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ სოფლის გაჭირვებულ მოსახლეობის დახმარებაში.

სოფელს აგრეთვე ხშირად ატყდება თავს რაიმე უბედურება მაგ. ავადმყოფობა, სიკვდილი, ხანძარი, წყალდიდობა და სხვა სტიქიური უბედურებანი. ამ მოვლენებიდან დაზარალებულ გლეხობას დახმარება, მათთვის მძიმე ტვირთის შემსუბუქება უნდა იკისროს გლეხთა დამხმარე კომიტეტებმა.

მარტო ამით არ განისაზღვრება გლეხთა კომიტეტების მუშაობა. მათ ფართე და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობითი მუშაობაში.

საერთოდ დიდია გლეხთა კომიტეტის ამოცანები და სამოქმედო ასპარეზი სოფლად. გლეხთა კომიტეტებს დიდ დახმარებას აღმოუჩენს ჩვენი ხელისუფლება, გლეხობა კი გვერდში ედგომება საბჭოთა მთავრობას.

ყოველი მშრომელის მოვალეობას შეადგენს აქტიური მონაწილეობა მიიღოს გლეხთა კომიტეტების დაარსებაში.

ამხ. ს. მ ბუდიონი თბილისში

მუშათა გლეხთა წითელი არმიის მთავარსარდლის თანაშემწე ცხენოსან ნაწილში და წითელი ცხენოსან არმიის ბელადი ამხ. ს. მ. ბუდიონი.

20 ნოემბერს თბილისს ესუმრა ძვირფასი სტუმარი წითელი არმიის მთავარ-სარდლის თანაშემწე და წითელი ცხენოსან არმიის ბელადი ამხ. ბუდიონი.

ამხ. ბუდიონს შეხვდა თბილისის გარნიზონის ცხენოსანი ნაწილები. სადგურზე ამხ. ბუდიონს შეხვდენ წითელი არმიის, კ. ა. კ. სახ. კომისართა საბჭოს, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამხ. ბუდიონის ჩამოსვლის მიზანია გაეცნოს წითელ-დროშიან არმიის ცხენოსან ნაწილების მდგომარეობას და დაესწროს მომავალ მანევრებს.

ცხენოსან ჯარის როლის შესახებ ამხ. ბუდიონიმ განაცხადა: ცხენოსან ჯარს ჩვენ უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება თუმცა ჩვენი ცხენოსნობა ახალგაზრდაა, მაგრამ მან დიდი როლი ითამაშა სამოქალაქო ომებში და მას კიდევ უდიდესი მნიშვნელობა ექნება მომავალ ომებში.

რაც შეეხება ტერიტორიალურ სისტემას—სთქვა ამხ. ბუდიონიმ,—ის ხორციელდება ეხლა პრაქტიკაში. ტერიტორიალური სისტემა დიდ პოპულიარობით სარგებლობს მცხოვრებლებში, ვინაიდან ეს მათთვის ხელსაყრელია და ჩვენ დარწმუნებული ვარ, რომ ეს სისტემა ჩვენ მოგვცემს მებრძოლებს, რომლებიც სამხედრო ცოდნის მხრივ არ იქნებიან რეგულიარულ წითელი არმიის მებრძოლებზე ნაკლები.

ცხენოსან არმიის ტერიტორიალურ სისტემაზე გადაყვანის შესახებ ამხ. ბუდიონმა განაცხადა, რომ ჯერ ეს საკითხი მუშავდება თეორიულად. 1924 წელში კი შეიძლება ამ სისტემაზე გადავიყვანოთ ცხენოსანი ჯარიც.

ამხ. ბუდიონი დარჩება თბილისში სამშაბათამდე, რის შემდეგ გაემგზავრება ბაქოში.

ტელეგრამები

— შტრეზემანის კაბინეტის დაცემა აუცილებელია.

— ბავარიის სახალხო პარტია წინადადებას იძლევა რათა გადასინჯულ იქნას ვეიმარის კონსტიტუცია.

— სილეზიაში მოხდა მუშებსა და პოლიციის შორის სისხლის მღვრელი შეტაკებები.

— მოსალოდნელია ინგლისსა და საფრანგეთს შორის მოხდეს განხეთქილება.

— ბავარიის მთავრობამ უარყო ბავარიის საკუთარი ვალიუტის გამოშვება.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

შტრეზემანის დაცემა აუცილებელია.

რეიხსტაგის წრეებში ლაპარაკობენ, რომ შტრეზემანის დაცემა აუცილებელია. საერთო აზრია, რომ შტრეზემანი რეიხსტაგში ვერ მიიღებს ხმის უმრავლესობას. რეიხს კანცლერის ადგილას კანდიდატებათ ასახელებენ სახალხო პარტიის წევრს შორცს, რომელიც ეხლა შტრეზემანს უდგია ოპოზიციაში და შრომის მინისტრს ცენტრის პარტიის წევრს ბრაუნს. ცენტრის წრეების ცნობით ცენტრიდა და დემოკრატები არ წავლენ წინაალმდეგ უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებისა.

შეტაკებები გერმანელთა სილეზიაში.

სილეზიის ნახშირის სამრეწველოებში მოსალოდნელია აფეთქება-გაფიცვებმა, თუ მწარმოებლებმა არ დააკმაყოფილეს მუშათა მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის ოქროს ანგარიშით ძლევაზე.

სილეზიის ბევრ ქალაქებში გრძელდება მღელვარება სიმშილობის ნიადაგზე. ნეიზალცში მოხდა მუშებსა და პოლიციას შორის სისხლის მღვრელი შეტაკებები.

ძალმომრეობა.

ტიურინგიის რეიხსვერის სარდალმა გენერალმა გესსემ აკრძალა ტიურინგიის მთავრობის ოფიციალური სოციალ-დემოკრატიულ ორგანოს გამოცემა.

ტიურინგიის ლანდტაგის ბურჟუაზიულმა ფრაქციებმა წინადადება მიიტანეს დაითხოვონ ლანდტაგი და დანიშნონ ახალი არჩევნები.

ბავარიის ვალიუტის პროექტის წინაალმდეგ.

ბავარიის მთავრობამ უარყო კარის წინადადება ბავარიის საკუთარი ვალიუტის გამოშვების შესახებ. იმის გამო, რომ კარსა და ბავარიის მთავრობის შორის დაობას ბოლო არ უჩანს, გავრცელდა ხმები თითქოს ბავარიის მთავრობის თავმჯდომარეს კნილინგს განზრახვა ჰქონდეს გადადგომისა.

ოცნებობენ მონარქიაზე.

ბავარიის პრესა ოფიციალურად უარყოფს ხმებს, თითქოს კარს განზრახვა ჰქონდეს აღადგინოს მონარქია და მოჰყავს რუპრეხტის წერილი, რომელიც აღნიშნავს, რომ მონარქიის გამოცხადება დროული არ არისო.

ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილება.

ელჩთა კონფერენციამ დაადგინა გაეგზავნოს გერმანიას ნოტა, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლშიაც აღნიშნული იქნება პროტესტი კრონპრინცის დაბრუნების წინააღმდეგ და მოთხოვნილი იქნება გარანტიები მოკავშირეების სამხედრო საკონტროლო კომისიის მუშაობის განახლებისათვის. დადგენილია, რომ რეპრესიული ზომები გერმანიის წინააღმდეგ არ იქნება მიღებული.

საფრანგეთის მთავრობა დაეთანხმა საკითხის ამგვარათ გადაჭრას. ინგლისის ოფიციალური წრეები კმაყოფილებას გამოთქვამენ კონფერენციის გადაწყვეტილების გამო.

ეყოფათ გამბედაობა მენშევიკებს.

ბერლინიდან იტყობინებიან, რომ კომუნისტებს და ნაციონალისტებს გარდა, ალბათ სოციალ-დემოკრატებიც შეიტანენ რეიხსტაგის სხდომაზე წინადადებას შტრეზემანის კაბინეტისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

შტრეზემანის პოლიტიკის სასტიკი კრიტიკა.

რეიხსტაგში სოციალ-დემოკრატი ველსი გამოვიდა სასტიკი კრიტიკით შტრეზემანის პოლიტიკის წინააღმდეგ, უმთავრესად მან ილაპარაკა: განსაკუთრებული საალყო წესების დაცვის, რეინის პოლიტიკის, ბავარიის წინააღმდეგ არა საკმარისად ენერგიული გამოსვლის და საქსონიის და ტიურინგიის მთავრობების დარბევის წინააღმდეგ.

ნაციონალისტების ლიდერი გერტცი თხოულობდა შტრეზემანის გადაყენებას და ახალი კაბინეტის შექმნას ფართე ნაციონალურ საფუძველზე.

როცა ტრიბუნაზე გამოჩნდა შტრეზემანი კომუნისტებმა ასტეხეს ხმაურობა, შტრეზემანს საშვალება არა ჰქონდა ელაპარაკა. რეიხსტაგის თავმჯდომარემ რამდენიმე წუთით შესწყვიტა სხდომა. მაგრამ სხდომის განახლების შემდეგ კომუნისტების სკამებიდან ხმაურობა კიდევ მეტად გაძლიერდა, რის გამოც სხდომა გამოცხადებულ იქნა დახურულად.

ესენში ძლიერდება მღელვარება სურსათობის ნიადაგზე.

დაკავებულ ოლქებში, განსაკუთრებით ესენში ძლიერდება მღელვარება სურსათობის ნიადაგზე. ესენში დარბეულია მრავალი მაღაზია. ქალაქის სასურსათო მდგომარეობა უარესდება.

მუშები თავს არ მოიტყუილებენ.

პარიზი. 21 ნოემბერი. რურის ოლქის სამთომადნო მუშების კავშირმა პროტესტი განაცხადა სამუშაო დღის გაგრძელების წინააღმდეგ. ბოხუმში სამთო-მადნო მუშების კრებაზე ორატორები აცხადებდენ, რომ მუშები შემდეგში ნებას არ მისცემენ მრეწველებს და კაპიტალისტებს შეცდომაში შეიყვანონ ისინი. ორატორები აგრეთვე ბრალს სდებენ ფრანგებს რურში შექმნილ მდგომარეობაში.

დიქტატორული რეჟიმი საქსონიაში

არალეგალური კომუნისტური პრესა მიუთითებს საქსონიაში დაპატიმრებულებისადმი სასტიკ მოპყრობაზე და მოუწოდებს მუშებს პროტესტი განაცხადონ დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ. დაპატიმრებულებს უფლება არა აქვთ დამოკიდებულება იქონიონ დამცველებთან და აგრეთვე ნათესავებთან. კომუნისტი დეპუტატი შნელერი, მიუხედავათ ლანდტაგის დადგენილებისა მისი განთავისუფლების შესახებ, დღემდე არ გაუნთავისუფლებიათ.

მოლაპარაკება უცხოეთში სესხის აღების შესახებ.

წარმატებით მიმდინარეობს ამსტერდამში წარმოებული მოლაპარაკება ინგლის-ამერიკის ფინანსიურ ჯგუფთან და გერმანელ ბანკირებთან და მრეწველებთან 125 მილ. დოლარის სესხის აღების შესახებ, სურსათის ნედლი მასალის და აგრეთვე გერმანიის ვალიუტის უზრუნველსაყოფად.

სესხის გარანტიებს იძლევიან დიდი აგრარიები—გოტფელდი, გოგენლოე და სხვები.

სტინესის პრესა აბათილებს ცნობას თითქოს უცხოელები აძლევენ სესხს შტრეზემანის მთავრობას, რომ უცხოელებისათვის თითქოს სულ ერთი იყოს ვინც იქნება მთავრობაში, ოღონდ მთავრობა იყოს მტკიცე. მით სტინესის პრესა სცდილობს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ უცხოეთის კრედიტების მიღების შანსები ექნებოდა მემარჯვენეთა დიქტატორიას.

მოლაპარაკება ნისიად ამერიკული პურის მოწოდების შესახებ.

ბერლინში სწარმოებს მოლაპარაკება ამერიკულ ფერმერების კომისიასთან სილვერსის მეთაურობით გერმანიისათვის ნისიად პურის მოწოდების შესახებ. მიღებულ ცნობების თანახმად, ამერიკის პრეზიდენტი კულიჯი ამზადებს გერმანიისათვის სურსათით დახმარებას.

რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სხდომა.

ორშაბათს რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სხდომაზე სოციალ-დემოკრატებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს შტრეზემანის პროგრამა.

მათ გამოეკამათა შტრეზემანი, რომელიც ამტკიცებდა, რომ სოციალ-დემოკრატების მოთხოვნილება საგანგებო სამხედრო წესების გაუქმების შესახებ შეუსრულებელია.

შტრეზემანის ამ განცხადების შემდეგ ფრაქციამ გადასწყვიტა უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას შემდეგსავე სხდომაზე.

გერმანელი მენშევიკები დახმარებას სთხოვენ მეფის ლაქიებს.

ბერლინი. 19 ნოემბ. „ფორვერტს“-ი აქვეყნებს მეორე ინტერნაციონალის მოწოდებას, რომელიც მიმართავს ყველა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს, გაუწიონ მატერიალური დახმარება გერმანიის და საფრანგეთის სოციალ-დემოკრატებს.

ამ მოწოდების გამო კომუნისტური ორგანო „ფოლკსბოტე“ სწერს: „დღემდე გერმანიის სოციალ-დემოკრატია ბრალს სდებდა კომპარტიას საბჭოთა რუსეთისაგან ფინანსიური დახმარების მიღებაში. ეხლა გერმანიის სოციალ-დემოკრატები დახმარებას სთხოვენ მისი უდიდებულესობის ბელგიის მეფის და აგრეთვე პუანკარეს და მუსოლინის სოციალისტებს“.

სოლიდარობა გერმანიის რევოლიუციასთან.

შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ 971 ხმით მიიღო კონგრესის უმრავლესობის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ გერმანიის რევოლიუცია მსოფლიო რევოლიუციის მეორე ეტაპია და მისი დამარცხება გამოიწვევს თეთრგვარდიელთა ძალაუფლების გამეფებას, მშრომელთა დამონავებას და საფრთხეში ჩააგდებს რუსეთის რევოლიუციას.

კონგრესი აცხადებს, რომ შრომის უნიტარული კონფედერაცია თანაუგრძნობს გერმანიის რევოლიუციას და ყოველგვარი საშვალებით ხელს უწყობს მის განვითარებას. ამის პირველი ნაბიჯი იქნება პროლეტარულ ძალთა გაერთიანება და პირველად ყოვლისა, შრომის უნიტარულ კონფერენციის გაერთიანება შრომის გენერალურ კონფედერაციასთან.

უნიტარული კონფედერაცია იტოვებს მოქმედების თავისუფლებას და უფლებას დამოუკიდებელი ხელმძღვანელობა გაუწიოს საყოველთაო გაფიცვას, რომელიც მომზადებული იქნება კონფედერალურ ბიუროს, აღმასრულებელ კომისიის და ფედერაციების წარმომადგენელთა მიერ.

კონფედერაციის ბიუროში არჩეული არიან მონმუსო, ლიუჟილიე, რაკამონი და ბერარი.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ელჩთა კონფერენციის ნოტა.

21 ნოემბერს ელჩთა კონფერენციამ მიიღო ორი ნოტის ტექსტი, რომლებიც გაეგზავნება გერმანიის მთავრობას.

პირველ ნოტაში ნათქვამია მოკავშირე მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ, რომ გერმანიის საჰაერო საქმის საკონტროლო ოპერაციები უნდა განახლებულ იქნას გადაუდებლად თუ რომ გერმანიის ხელის უფალნი ამას ხელს შეუშლიან, მოკავშირე მთავრობები იტოვებენ უფლებას მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც შესძლებენ უზრუნველჰყონ გერმანიის მიერ საზავო ხელშეკრულების ასრულების საქმე.

მეორე ნოტაში მოკავშირე მთავრობები აკისრებენ გერმანიის მთავრობას პასუხისმგებლობას, სადაც უნდა კრონპრინცის მიერ დაცულ იქნას უარყოფის აქტი კოროლისა და იმპერატორის უფლებაზე.

ბელგის პოზიცია.

ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟასპარმა რომელიც გამოვიდა სამშაბათს პარლამენტში, დაადასტურა ბელგიის მთავრობის პოზიციის სიმტკიცე საკონტრიბუციო და უზრუნველყოფის საკითხებში. ჟასპარმა სთქვა: „საკონტრიბუციო საკითხში არავითარი დათმობა არ იქნება ბელგიის მხრივ ქვეყნის უზრუნველყოფის საკითხშიაც არ შეიძლება იქნას არავითარი დათმობა და ცდები შეთანხმებისათვის.“

გერმანიის დელეგაციის გამგზავრება.

ორშაბათს ბერლინიდან პარიჟში გაემგზავრა გერმანიის დელეგაცია ფიშერის მეთაურობით, რომელმაც პარასკევს უნდა გააკეთოს საკონტრიბუციო კომისიის მოხსენება გერმანიის ეხლანდელ რესურსებსა და საგადასახადო შესაძლებლობაზე.

სეპარატისტული მოძრაობა.

მაინციდან იუწყებიან სეპარატისტების ახალ გამოსვლაზე, რომელთაც შესძლეს რატუშის დაკავება.

შეტაკების დროს მათ მოუკლეს 130 კაცი.

ინსტრუქცია გენერალ ნოლლეს.

მოკავშირეებმა გადასწყვიტეს განაახლონ სამხედრო კონტროლი გერმანიაზე და მიმართეს გენერალ ნოლლეს (საკავშიროთა შორისო სამხედრო საკონტროლო კომისიის წარმომადგენელი) ინსტრუქციით, რომელიც ანიჭებს მას სრულუფლებას და ინიციატივას კონტროლის განახლების შესახებ.

უმუშევართა დელეგაცია.

გელზენკირხენსა ბერლინში გაემგზავრა უმუშევართა დელეგაცია საიმპერიო მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

ვეიმარის კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადება.

ბავარიის სახალხო პარტიამ იმპერიის რეიხსტაგში შეიტან წინადადება ვეიმარის კონსტიტუციის იმ პუნქტების გადასინჯვის შესახებ, რომელნიც შეეხებიან ცალკე სახელმწიფოთა უფლებებს. პარტიის წინადადებაა მიეცეს ცალკე სახელმწიფოებს დამოუკიდებელი მართველობის უფლება—საფინანსო, სარკინიგზო, სახალხო განათლების საქმეებში. ყველა ეს უფლებები ვეიმრის კონსტიტუციის ძალით მინიჭებული აქვს მხოლოდ იმპერიის მთავრობას.

ინგლის-საფრანგეთის შორის განხეთქილების მოსალოდნელობა.

ჩვეულებრივ საკვირაო სიტყვებში, რომელიც წარმოსთქვა პუანკარემ ნეილიში, ისევ ხაზ გასმით განაცხადა რომ ვერსალის ხელშეკრულება უნდა იქნეს შესრულებული და რომ საფრანგეთი არ დასტოვებს ოკუპაციით დაკავებულ ოლქებს, სანამ გერმანია არ დასთანხმდება სამხედრო კონტროლის აღდგენასა და კრონპრინცის გაძევებაზე.

პუანკარეს გამოსვლის გამო გამოქვეყნებულია რეიტერის ცნობა, რომელიც აღნიშნავს, რომ შესაძლოა ჩამოვარდეს უთანხმოება ინგლისსა და საფრანგეთს შორის, თუ საფრანგეთი გააგრძელებს შეურიგებელ პოზიციაზე დგომას.

ცნობამ საფრანგეთის ბურჟუაზიულ წრეები დიდათ შეარხია. გარეშე საქმეთა სამინისტრომ ორგანო მხარს უჭერს პუანკარეს თვალსაზრისს, რადიკალური ორგანო კი სასტიკად აკრიტიკებს მთავრობის პოლიტიკას.

მსხვილი კაპიტალისტური პრესა დაჟინებით ადგია ინგლისთან თანამშრომლობის პოლიტიკას.

ჩესტერის კონცესიები და ოსმალეთი.

როგორც ვიცით, მიმდინარე წლის აპრილში ანგორის მთავრობამ დასდო ამერიკელ ადმირალ ჩესტერთან საკონცესიო ხელშეკრულება. მაშინ მიმდინარეობდა ლოზანას სამშვიდობო კონფერენცია. ინგლისი და საფრანგეთი ურთიერთშორის ინაწილებდნენ ოსმალეთს. და უეცრად, როგორც მეხი მოწმენდილ ციდან, თავს დაატყდა მოკავშირეებს ჩესტერის კონცესიები, რომლის ძალით ამერიკის ხელში გადადიოდა ყველაფერი ის, რასაც ანტანტა საკუთარ ლუკმად თვლიდა.

მაშინ ოსმალეთის მიერ საკონცესიო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა დიდი გაბედული ნაბიჯი იყო წინ, რომელიც ასუსტებდა ანტანტას პოზიციებს. სწორედ ამაში იყო ჩესტერის კონცესიების დადებითი მნიშვნელობა.

რაც შეეხება კონცესიების ეკონომიურ მხარეს შემდეგი იყო. კონცესიონერებს უნდა გაეყვანათ რკინის გზის ლიანდაგი 4.000 ვერსის სიგრძით. უნდა გაეშენებიათ ნავთსადგურები ეგეიის და შავი ზღვის ნაპირებზე. ჩვიდმეტი წლის განმავლობაში მას უნდა დაეკავშირებია რკინის გზების საშუალებით ანატოლია ხმელთა შუა და შავ ზღვებთან.

რა თქმა უნდა ამერიკელ კაპიტალისტს სრულებით არ აწუხებდა ოსმალეთის გაჭირვება გზის უქონლობის გამო. მას სულ სხვა რამე უნდოდა. ეს არის ოსმალეთის დაუშრეტელი სიმდიდრე, რომელიც მიწაშია დამარხული. და ჩესტერმა კიდეც მოახერხა ამ სიმდიდრის ხელში ჩაგდება.

საკონცესიო ხელშეკრულებას ჩესტერი თუ ცხოვრებაში გაატარებდა მის ხელში სრულიად გადადიოდა ოსმალეთის ნაციონალური სიმდიდრენი ნავთის წყაროები, ტყე, გოგირდი და სხვა. ჩესტერს აგრეთვე ხელშეკრულების ძალით უფლება ქონდა რკინის გზის ლიანდაგის ორივე მხარზე 20 ვერსტის გასწვრივ ექსპლოტაცია ეწარმოებია ბუნებრივ სიმდიდრენისა. ამგვარად ჩესტერის ხელში საექსპლოტაციოდ გადადიოდა ოსმალეთის ტერიტორიის მესამედი.

ხელშეკრულების თანახმად მუშაობა უნდა დაწყებულიყო მასზე ხელის მოწერის ექვსი თვის შემდეგ. ჩესტერს კი უფლება ქონდა მადნების თუ სხვა სიმდიდრის ექსპლოატაციის დაწყების მხოლოდ მუშაობის დაწყების შემდეგ.

კონცესიის პირობები მეტად ხელსაყრელი იყო ჩესტერისათვის, და მიუხედავათ იმისა, რომ კონცესიის ძალით ოსმალეთის მთელი ნაციონალური სიმდიდრე ამერიკულ კაპიტალს უვარდებოდა ხელში, ოსმალეთისათვისაც სასარგებლო იყო ხელშეკრულების შესრულება. ოსმალეთს საკუთარი ძალებით არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია თავის მეურნეობის და წარმოების აყვავება. ამისათვის უცხო კაპიტალი იყო საჭირო. ანგორის მთავრობა ასეც მოიქცა. მან გვერდი აუხვია ანტანტას და ამერიკული კაპიტალი მოიწვია.

მაგრამ გავიდა უკვე საკმაო დრო კონცესიის დადების დღიდან და ჩესტერი არ აპირებს მუშაობის დაწყებას. ოქტომბერში უნდა დაწყებულიყო მუშაობა.

ჩესტერის კომპანიის ერთი რწმუნებული კენნედი სთხოვს ოსმალეთის მთავრობას მუშაობის დაწყების დროს გადადებას საშუალებების უქონლობის გამო; აგრეთვე ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის გაშენების ნებართვას; ოსმალეთის მთავრობამ ასეთ მიმართვაზე უარი უთხრა.

ნოემბერში კენნედი ისევ აღნიშნავს საშუალების უქონლობას და მიმართავს ოსმალეთის მთავრობას თხოვნით რათა ნება დართოს ჯერ მადნების და სხვათა დამუშავებას და პირდება რკინის გზების გაყვანას შემდეგ დავიწყებთო. ოსმალეთის მთავრობამ კარგად გაიგო რას ნიშნავს ჩესტერის ასეთი მოთხოვნები და კენნედის კიდევ უფრო უარით უპასუხა.

ამ დღეებში კი ოსმალეთის მთავრობამ მოსთხოვა კენედის ავანსი პირველ სამუშაოების უზრუნველსაყოფად. როგორც სჩანს მოქნილმა ამერიკელმა ვერ მოატყუილა ოსმალეთის ხალხი. ოსმალეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს არავითარ დათმობებზე არ წავიდეს კენნედის მიმართვაზე. ის არ მისცემს ნებას ჩესტერს მარტო მადნების ექსპლოატაციისას,

ს. პ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს წითელ ჯარს

კულტმუშაობა გამოფხიზლდა მე-3-მე ლეგიონში.

დღიდან დაარსებისა ჩვენი ლეგ. კლუბს მეტად ცუდ მატერიალურ პირობებში უხდებოდა მუშაობა. მაგრამ ამ ბოლო ხანებში კლუბს საგრძნობი გამოცოცხლება დაეტყო და დღეს ყველა წრეები თავის ადგილას არის. ყოველ კვირაში სისტემატიურათ მიმდინარეობს წრეების მუშაობა. არსებობს შემდეგი წრეები: პოლიტიკური, ლიტერატურული, სამხედრო დრამატიული, მომღერალთა და სხვა. ყოველ კვირაობითი იმართება წარმოდგენები და მოქმედებს „კინო“ რომელითაც დიდით კმაყოფილი არიან წ. ლაშქრელები.

შრომისშვილი.

საბჭოთა არჩევნები.

საკავშირო ასეულში.

ა. წ. 19 ნოემბერს შესდგა № საკავშირო და მესანგრე ასეულის წითელ არმიელთა უფპოლიტ და ადმინისტრატიულ შემადგენლობის საერთო კრება. კრებას დაესწრო უმრავლესობა წითელ არმიელებისა და უფშემადგენლობის. პრეზიდიუმში იქნა არჩეული ამხ. მაჩიტაძე, ჯავახოვი, კვიცინაძე რაჟდენი, ბოქორიშვილი და ზაპერტოვი.

დღის წესრიგში იყო: 1. მოხსენება მიმდინარე მომენტზე, 2. საბჭოს ამოცანები, 3. საბჭოში დეპუტატების არჩევნები, 4. მოსკოვში მყოფ გამოფენაზე წითელ არმიელების მოხსენება.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა პოლიტ-განყოფილების უფროსის თანაშემწემ ამხ. ლომიძემ, რომელმაც ნათლად და მდაბიო ენით აუხსნა კრებას თუ რა ამბებია დღეს გერმანიაში, აგრეთვე აღნიშნა ის ავანტიურისტული პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს ბურჟუაზიული პარტიები გერმანიაში პროლეტარიატის წინააღმდეგ.

მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჯავახოვმა, რომელმაც გააცნო კრებას საბჭოს მნიშვნელობა, რა გააკეთა ძველმა საბჭოებმა და ვინ უნდა ირჩეოდეს საბჭოებში.

მოხსენების შემდეგ იქნა დასახელებული კანდიდატები პრეზიდიუმის მიერ შემდეგი შემადგენლობით: ჯავახოვი სერგო, ართმელაძე, თალაკვაძე შალვა და კუპუაშული.

კანდიდატებათ, ხურცილავა იაკიმე და შავდია დავითი.

დასასრულ მოხსენება გააკეთეს მოსკოვიდან ახლად დაბრუნებულ წითელ-არმიელებმა, რომლებიც იყვნენ გაგზავნილი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ამხანაგებმა გადუშალეს სურათი საერთო კრებას მოსკოვის სამეურნეო გამოფენისა, აღნიშნეს ყველა ის რაც მათ დაინახეს თავისი თვალით, სხვათა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია წითელ არმიელებში, როდესაც მომხსენებელმა სთქვა: მე ვნახე, რომ ლენინის ბრძანებით იყო გაკეთებული გუთანი სამხედრო იარაღებისაგან, ტყვიის მფრქვეველი, სამხაზიანი შაშხანა თოფი, და ცეცხლმფრქვეველებიდან. მომხსენებელმა სთქვა ისიც თუ როგორ იმგზავრეს გზაზედ და, როგორ შეხვდა ჩვენ ექსკურსანტებს მოსკოვის მუშები.

მაჩიტაძე.

ქარ. ავიო-დივიზიონი.

ოქტომბრის დღეობა საავიაციო ესკადრილიაში მხიარულად ჩატარდა.

5 ნოემბერს მოხდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

10 წ. არმიელიდან 9 ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა, 1 ჩაიჭრა და განაგრძობს სწავლას.

6 ნოემბერს დაურიგდათ შეფისაგან საჩუქრები ახლად დამთავრებულებს და ხუთ მფრინავს, რომელთაც თავი ისახელეს უკანასკნელ სამოქალაქო ომში.

ამავე დღეს გაიმართა საზეიმო სალანო, მოხსენება ოქტომბრის რევოლიუციაზე გააკეთა ამხ. სამხკომმა და კლუბის გამგემ კულტურულ მუშაობაზე.

დასასრულ იქმნა გამოტანილი რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ წითელი ესკადრილია მუდამ მზად იქნება ოქტომბრის რევოლიუციის სადარაჯოზე.

შემდეგ დაიდგა. ს. ერ-ლის ინსცენიროვკა „ოქტომბრის რევოლიუცია“.

დასასრულ იყო სიმღერა და რევოლიუციონური ლექსთა თქმა დაშნასი და სხვა ავტორების.

7 ნოემბერს იყო საზეიმო ფრენა.

გადაღებულ იქმნა წითელ-არმიელთა და მფრინავთა საერთო სურათი, რომლის შემდგომ გაიმართა მეგობრული სადილი მრავალ საპატიო სტუმართა მონაწილეობით.

სიო.

ქართულ დივიზიას.

ძღვ. თ. ელენტს ოქტ. სურათიდგან.

მოდის და მომღერის ცეცხლების ალებით
მორთულნი ვაჟკაცნი თოფებით ფარებით,
და მტერს რისხვავენ ცეცხლის მფრქვევ ცეცხლოვან თვალებით.
მიეცით მათ ძმური
წითელი სალამი,
მის დროშას სისხლის ფერს
სიცილით ალამი,
ვის წინაც მძლე მტერმა
ქედები დახარა,
და მაშვრალთ—მებრძოლმან,
ერთობა ახარა.
მიეცით ალამი
მათ ძმური სალამი,
მოდის და მომღერის ცეცხლების ალმებით
მორთულნი ვაჟკაცნი თოფებით ფარებით—
და მტერს რისხვას ფენს ცეცხლის მფრქვევ ცეცხლოვან თვალებით.

გოგიტო ციმბირელი.

არტილერისტების ცხოვრებიდან.

ცალკე საგაუბიცო ბატარეის კავშირი ცენტრთან საკმაო მტკიცეა და კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობა თან და თან სათანადო ნიადაგზე დგება. ნაწილს აქვს საკუთარი კლუბი და თეატრი, ხშირად იმართება წარმოდგენები და სალამოები მეზობელ სოფლების სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად, რომლებზედაც ხსენებულ ბატარეას აქვს მიღებული კულტურული შეფობა.

უფშემადგენლობა აქტიურ მონაწილეობას იღებს კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობაში. ამას წინად ბატარეას ესტუმრა არტილერიის სამხედრო კომისარი, რომლის მოსვლამ უფრო განამტკიცა ბატარეის კავშირი მის მზრუნველობის ქვეშ აყვანილ სოფლებთან.

სოფელ უჯარმის გლეხობის საერთო კრებაზე ამხ. სამხედრო კომისარმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე. თეატრი სავსე იყო დამსწრეებით. გლეხები დიდის ყურადღებით და ინტერესით უსმენდენ მომხსენებელს, რომელიც ლაპარაკობდა უბრალო, გასაგები ენით. იყო მთელი რიგი შეკითხვებისა, რომლებზედაც მომხსენებელმა გასცა ამომწურავი პასუხი.

არტილერისტი

№ მსუბუქი საარტილერიო დივიზიონის ცხოვრება.

ორ-ორ სართულიანი, კოხტა, ახალი შენობები შიგნიდან მორთულია წითელ-არმიელების ნამუშევარით: პლაკატები, ლოზუნგები, ყველგან საუცხოვო სისუფთავე. სუფნარები, ლოგინები; ყველგან დაფები ყოველდღიურ ცნობებისათვის. ყოველ ბატერეის აქვს კარგათ მოწყობილი პირისაბანები, საპარიკმახეროები, სახელოსნოები. ცალკე სამზარეულო, სასადილოები და კარგად დალაგებული საკუჭნაოები.

წითელი კუთხეები.

ყველა ბატარეის აქვს საკუთარი წითელი კუთხეები, ლამაზად მორთულნი გირლიანდებით, პაწია წითელ დროშებით, ლოზუნგებით, პლაკატებით და რევოლიუციის ბელადთა სურათებით.

ეს კუთხეებივე ასრულებენ ბატარეის სამკითხველოს მაგიერობასაც, სადაც იმართება ხმა მაღალი კითხვები და სხვა პოლიტიკური მეკადინეობანი.

ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკა ყველა ბატარეებისათვის საერთოა, მშვენიერი ოთახი, პლაკატებით და ლოზუნგებით მორთული.

მკითხველთა რიცხვი დიდია.

ხშირად იმართება ხმა მაღალი კითხვები.

კლუბი.

დივიზიონმა მოაწყო კლუბი. გაკეთებულია სცენა, დახატულია დეკორაციები. ეწყობა წარმოდგენები. მხოლოდ არაა სკამები, ელექტრონი და დიდ საჭიროებას შეადგენს კინო. ამისათვის ყველაფერია აქ მოწყობილი, მხოლოდ არა აქვთ აპარატი.

კვირაში ერთხელ იდგმება წარმოდგენები, ხშირია პოლიტ-ლატარიის და სხვა გასართობების გათამაშება.

წრეები.

წრეები თავის სიმაღლეზე დგანან.

1. ლიტერატურული—16 კაცია, მეცადინეობა აქვს კვირაში სამჯერ. გადიან ახალ ლიტერატურას, ნინოშვილის „უცნაურ სენს“ სწავლობენ ლექსებს და დეკლამაციას. ესევე წრე უშვებს კედლის გაზეთს.

2. დრამატიული—12 კაცია, მეცადინეობენ ყოველ დღე.

(რეპეტიციები და სხვა)

3. პოლიტიკური—13 კაცია, მეცადინეობს კვირაში სამჯერ.

4. სპორტის—22 კაცია, ვარჯიშობენ კვირაში სამჯერ.

რენე მარან.

კაცობრიობას ახსოვს მრავალი მწვერვალები ისტორიის გზაზე, რომელსაც თან მოსდევენ თვალუწვდენი უფსკრულები. საბერძნეთი, რომი, ნაპოლეონი... აი ის ბუმბერაზები, რომლებმაც იხილეს ეს მწვერვალები და... ბოლოს სასტიკი, თავბრუ დამხვევი სისწრაფით ჩაინარცხენ საშინელ უფსკრულში.

ქვეყანა, სადაც ბატონობენ ოქროს ღმერთები და იწირება მსხვერპლი ადამიანთა; ქვეყანა, რომელიც გებულია ცრემლითა და სისხლით; ქვეყანა, რომლის საძირკველს ქვეშ დატანებულია ცოცხალი ადამიანი,—უსათუოდ დაინგრევა და ქვეშ მოიქცევს ღმერთებსა და მათ ქურუმებს.

ევროპა ათამაშებული ცეცხლით და ოქროთი, რომელშიაც იწვის უამრავ ადამიანთა სიცოცხლე; ევროპა ცად აღეწრილ სასახლეებით, რომელთა ზემო სართულები ჯადოსავით თავს დასწოლიან სარდაფებს და არ ესმით უკანასკნელთა მწარე გმინვა; ევროპა ფერადი კაფეებით და შამპანიურებით, რომლის ორ მესამედს ადამიანის სისხლი შეადგენს,—დღეს განწირულად ქანაობს და სადაც არის დაინგრევა კიდეც. ყოველივე ამას გრძნობს ეკვატორის მზით გარუჯული მონა—ნეგრი და სავანის გულიდან იცინის თეთრი კბილებით...

და აი ამ დროს სადღაც შორეულ კოლონიიდან მოისმის ხმა მაღალი ყიჟინა: „აააუუ! ვინა ხართ ქრისტიანი, მიშველეთ, ადამიანი ადამიანსა სჭამს, დამეხმარეთ, ვიხსნათო“.— „ტყუილია, ისმის მეორე მხრიდან, აილაგმოს თავხედი!“—ბრძანებს ვილაცა და სისხლიან ბაგეებს ენით იწმენდს.

ო, ცოდვით სავსე ევროპავ! სასტიკი იქნება ჩაგრულთა შურის ძიება. გესმის ახალი მოძღვრების ხმა? ეს მოდის „შავი ქრისტე“ ახალი სახარებით. ეს არის ახალი მწერალი ნეგრი **რენე მარანი.**

რენე მარანი **შთამომავლობით** ნეგრია. მან განათლება მიიღო საფრანგეთში. შემდეგ ის დანიშნულ იქნა ადმინისტრაციის მოხელედ საფრანგეთის ერთ-ერთ კოლონიაში. ექვსი წელი დაჰყო რენე მარანმა თავის შავ თანამოძმეთა შორის. ამ ექვსი წლის განმავლობაში მას არ გამოპარვია ამ უბედურ ადამიანთა არც ერთი კვნესა, რომელიც არ მოეთავსებინოს თავის მგრძნობიერ გულში.

1921 წელში რენე მარანმა გამოსცა თავისი წიგნი (ბატუალა), რომელმაც მთელი ლიტერატურული ქვეყანა შესძრა. ავტორმა მიზანს მიაღწია. კონკურსზე მის წიგნს პირველი **ხარისხის ჯილდო მიუსაჯეს.** მაგრამ ეს არ მოეწონათ ბევრ ბურჟუაზიულ მწერლებს. ერთი ცნობილი მწერალი ამბობს: „მართალია, წიგნი კარგი დაწერილია, მაგრამ ის მაინც ვერ შეჰქმნის კანის ახალ ფერსო“.

რენე მარანი პასუხისგებაში მისცეს კოლონიალურ ადმინისტრაციის შეურაცყოფისათვის, რომელიც გათვალისწინებულია მის რომანში.

წიგნში პირის პირ სდგას ორი ადამიანი: **თეთრი და შავი**: კულტურული დესპოტი—ევროპიელი და შავი მონა—ნეგრი. კითხულობ წიგნს და თქვენ თვალ წინ თან და თან პატარავდება და არარად ხდება ეს კულტურული ადამიანი, მონა პირადი ინტერესებისა და ზრახვების, მონა თავისი თავის, ხოლო ამავე დროს რა დიდი გვჩვენება თავისუფალ ბუნების შვილი, ცხოველი მზით აჩქერებული სისხლით.

მთელ რომანში ავტორი არსად სჩანს: ის ალაპარაკებს მხოლოდ გმირებს. სადა და უბრალოა ამ უკულტურო ადამიანთა ლაპარაკი, მაგრამ ნამდვილი, ჭეშმარიტებით სავსე. აი რას ამბობს რომანის მთავარი გმირი ბატუალა: „ომი კაცი ჭამიობისაგან არაფრით განსხვავდება. ნეგრებს აიძულებენ მიიღონ მონაწილეობა თეთრების ომში და დაიხოცონ მათთვის უცხო ინტერესებისათვის. ვაი მას ვინც განაცხადებს უარს. მას გადააცმენ ყელზე საბელს, მას სცემენ, მას ციხეში ჩასმენ. გასწი, გასწი წინ, ბინძურო ნეგრო!... ჩაძაღლდი, ჭუჭყიანო ნეგრო, ჩაძაღლდი!—ეუბნებიან მას“. აი უბრალო სიტყვები, მაგრამ ჩაუკვირდით მათ: რა სასტიკი, მომწყვდეული სუნთქვა ისმის ამ სიტყვებში. თითქოს ხედავ აპრიალებულ, მოწამლულ ბებუთს შურის ძიებით ატორტმანებულ შავს კუნთებიან ხელებში!!!

წინასიტყვაობაში ავტორი მიმართავს საფრანგეთის მწერლებს. „ჩემი შორეულო ძმებო, სიამაყენო იმ ქვეყნისა, რომელმაც მომცა მე ყველაფერ! თქვენ ხშირად კამათობთ უმნიშვნელო რამეზე და იბრძვით **გასართობად**, მაგრამ თქვენ ხშირად მიდიხართ დათმობის გზაზე იქ, სადაც საჭიროა დაიცვა კეთილშობილი და სამართლიანი იდეა. მე თქვენ მოგიწოდებთ დახმარებისათვის იმიტომ, რომ მე დარწმუნებული ვარ თქვენს კეთილშობილებაში... ექვსი წელი მოვანდომე მე მის გადმოცემას, რაც გავიგონე, და აწერას იმისა, რაც დავინახე... აქ ჩემი აზრი ერთხელაც არ გამიმიქვამს... ხმა აღიმაღლეთ, თქვენ უნდა დაეხმაროთ იმათ, ვინც საგნებს—მათივე სახელით აღნიშნავენ და ებრძოლოთ იმათ, ვინც სცდილობს სხვა სახით მოაჩვენოს მათ ეს საგნები. შემდეგ, როცა კოლონიები გაიწმინდებიან ამ აფოფრენებული ჭუჭყისაგან, მე თქვენ აგიწერთ რამოდენიმე ტიპებს, რომელთა სახეებს ჯერ-ჯერობით პაპკაში ვინახავ. თქვენ გაიგებთ მაშინ, რომ არის ადგილები, სადაც უბედური ნეგრები იძულებული არიან გაჰყიდონ თავიანთი ცოლები 25-27 ფრანკად თითო. თქვენ გაიგებთ...,, და სხვა.

ადგილობრივი ადმინისტრაციის ნეგრებისადმი არა ადამიანური მოპყრობა, უკანასკნელთა გაჭირვება და მძიმე შრომით გამოწვეული აუტანელი პირობები, გარყვნილ მოხელეთა ზნეობრივი გავლენა მათზე—ყველაფერი ეს სრული მიუდგომლობით აქვს ავტორს აწერილი.

საერთოდ წიგნში მიცემულია სურათი, სადაც ევროპის ბურჟუაზიული ქვეყნები ზღაპრულ ცხოვრებით გაწოლილან ოკეანეებზე და იკვებებიან კოლონიების ტვინითა და სისხლით. მაგრამ ოქტომბრის ქუხილი თანდათან უახლოვდება ევროპას და სადაც არის სასტიკად დასჭექავს მის თავზე. ადამიანი მონა უკვე დარწმუნდა, რომ მისი სისხლი თეთრი დესპოტის სისხლზე უკეთილშობილესია და თავის თავს ეუბნება: „დროა! დროა!“

კ. რექტორი.

5. სანიტარული — 12 კაცი, მეცადინეობენ კვირაში ოთხჯერ.

6. მომღერალთა — 25 კაცია, მეცადინეობენ კვირაში სამჯერ.

7. საერთო ცოდნის — 42 კაცი, მეცადინეობენ ყოველ დღე, გადიან ბუნებისმეტყველებას, გეოგრაფიას, მეტრიულ სისტემას და სხვა.

დიად შთაბეჭდილებას სტოვებს სიცოცხლით სავსე, ზორბა არტილერისტები. ყველა წითელ არმიელნი ახალ საზამთრო ტანთსაცმელში... არ გინდა თვალის მოშორება.

ცხენები სუფთად მოვლილი, იარაღები თვალის ჩინისავით შენახული...

მეზობელ რუსის ნაწილებთან ძმური კავშირი, დღესასწაულებში და პოლიტ-სათამაშოებზე ერთიანი გამოსვლა.

ს — ნ.

წითელი ლაშქრის საბიბლიოთეკო გამოფენაზე.

მესანგრე ასეულის კლუბში გაიხსნა კავ. წით. დროშ. ლაშქრის საბიბლიოთეკო გამოფენა, სადაც ერთი კუთხე ქართულ წითელ ჯარის ბიბლიოთეკებს ეკუთვნის.

აქაა წარმოდგენილი ნიმუშები იმ წიგნებისა, რომელითაც ჩვენი ბიბლიოთეკები ჰკვებავენ კულტურულად ჩვენს ჯარს.

აქ თქვენ ნახავთ ბიბლიოთეკების ენერგიას და ცოდნას, აქაა მისი სული და გული ჩაქსოვილი. თქვენ წინ წარმოგიდგებათ წითელ-არმიელთა ნამუშევარი ლიტერატურის მაჩვენებლები, რევოლიუციის კალენდრები, რევოლიუციის და მწერალთა ბელადების სურათები, კარიკატურები, ქარტები დიაგრამები, სქემები, აფიშები, პლაკატები, ლოზუნგები, კედლის გაზეთები, რვეულები და სხვა, ვინ იცის, რას არ შეხვდები აქ, ყველა რიგზე, წესიერად და ცოდნით დალაგებული...

აქვეა ლენინის კუთხე, რომელიც მეტად კარგად არის მიღებული. ყველგან მცოდნე ხელი ატყვია. სიამოვნებით გევსება გული ამ გამოფენაზე სადაც მათი შემოქმედებაა, რომელთაც, გარდა საბჭოთა ხელისუფლებისა, ვერავინ მისცა სწავლა და ვერავინ შეაძლებინა, რათა მათ გამოექვეყნებინათ მიმალულ ნიჭის შემოქმედება.

გამოფენას დიდძალი ხალხი ესწრება, განსაკუთრებით სამხედროები და ყველა გაკვირვებულია ამ მუშაობით.

შესვლა უფასოა და კარგს იზამენ ჩვენი წითელ არმიელები რომ დაათვალიერებდნენ.

№ 15.

ახალი ამბები

ცნობები გლეხკომების რაოდენობის შესახებ.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ მაზრებიდან მიღებულ ცნობებით საქართველოს რესპუბლიკაში ჯერ-ჯერობით მოწყობილია საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტები: სასოფლო — 711, სათემო — 423 და სამაზრო — 9.

დახმარება წითელ-არმიელთა ოჯახებს.

ოქტომბერში საქ. რესპ. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატიდან ტფილისში დახმარება მიიღო 137 წითელ-არმიელის ოჯახმა.

გაძლიერებული პენსია.

სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა ცნობილი პუბლიცისტის რევოლიუციონერის განსვენებული ს. წულუკიძის მამას გიგოს დაუნიშნა გაძლიერებული პენსია.

საგლეხო კომიტეტების გარშემო.

სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა ჯანმრთელობის, განათლების და მიწადმოქმედების კომისარიატების წინაშე, რათა გლეხთა კომიტეტების იდეის განსამტკიცებლად განზრახული კვირეულების მოწყობაში მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

უმუშევარ ქალთა დროებითი თავშესაფარი.

ქალაქის აღმასკომს განზრახვა აქვს ტფილისში არსებული უმუშევარ ქალთა დროებითი თავშესაფარი გადასცეს სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს.

პატარა ფელეტონი

ხანჯალაძის გასაჭირი.

№-ის სამხედრო დაწესებულების თანამშრომელი თეიმურაზ ხანჯალაძე, მეტად გაფითრდა, როდესაც მისმა მეუღლემ სახლში საჩქაროთ დაიბარა. დილიდანვე მას უსიამოვნებაზედ დაჰყვა: ჯერ ერთი საჩქარო ქაღალდი იყო დასაბეჭდი და მემანქანე ქალი სწორედ ამ დღეს არ მოვიდა დროზედ, დასაწერი ჰქონდა და მელანი ისეთი ბაცი აღმოჩნდა, რომ ქაღალდზედ არაფერი ემჩნეოდა... და მესამე ის, რომ ხანჯალაძე, რომელიც მთელი თავის სიცოცხლე ხმალსა და თოფს ატრიალებდა, „მარცხნივ“ და მარჯვნივ იარს“ გაიძახოდა, დღეს სწორედ ეს ხანჯალაძე, ბრძანებით — უმწყობრო დარგის მოსამსახურეთა რიცხვში აღმოჩნდა და, როგორც ასეთი, საზამთრო ტანისამოსის მიღების უფლებას ჰკარგავდა. შეფიქრიანებული და დაღონებული სახლში ელვის სისწრაფით გაექანა. დიდიხნის ზარის რეკვის შემდეგ ხანჯალაძეს გაფითრებულმა ცოლმა კარები გაუღო.

— რა მოხდა! — გულის ფანცქალით შეეკითხა ხანჯალაძე ცოლს.

— ბავშვი როგორღაც კარგად ვერაა... ცოტაოდენი სიცხე აქვს და მუცელს იტკიებს... ექიმია საჭირო მოვიწვიოთ.

ხანჯალაძემ გადაჰხედა ბავშვს, გიჟსავით გარეთ გამოვარდა და უფროს ექიმ შპრიცაძესთან გაექანა.

შპრიცაძე თავის კაბინეტში მაგიდას მისჯდომოდა, მანიუკიურს იკეთებდა და ტანისამოსზედ „ლორიგანს“ იფსკურებდა.

— მოგეხსენებათ, ჩვენ ამბულატორიისათვის არ გვაქვს ბინა, უხსნიდა შპრიცაძე ხანჯალაძეს. — ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით თქვენი დაწესებულება მიგვეკუთნებია საგარნიზონო ამბულატორიისათვის. მიმართეთ იქ, ისინი აღმოგიჩენენ დახმარებას.

ხანჯალაძე გაშმაგებით გამოხტა შპრიცაძეს კაბინეტიდან და საგარნიზონო ამბულატორიისაკენ გაემართა. ფარაჯა ბატის მოტეხილ ფრთასავით უფრიალებდა და გზაში რამოდენიმე ბაყალს გარედ გამოფენილი ვაშლის ყუთები ფარაჯის კალთებით გადაუბრუნა. მედუქნეები გინებით ისტუმრებდენ მას, მაგრამ ხანჯალაძე არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და მიილტვოდა.

— თქვენ ავტომობილი, ან ლანდო მოიყვანეთ ექიმის წასაყვანად? ეკითხებოდა ხანჯალაძეს ექიმი კლეისტერი საგარნიზონო ამბულატორიაში.

— არც ავტომობილი მომიყვანია და არც ვიღაცა ლანდო ყოფილა... მე ბავშვი ავადმყავს...

— მაშინ წამოსვლა არ შეგვიძლია...

— ბავშვი მყავს ავად... ისეთი მშვენიერი...მოტიკტიკე...როგორ შეიძლება?! ლუღლუღებდა ხანჯალაძე.

— დიახ... მერე ჩვენ საბავშვო ავადმყოფობის სპეციალისტი არა გვყავს... თუ გნებავთ ქირურგი, ვენეროლოგი...და.. რაც შეეხება საბავშვო ექიმს, ჩვენ არა გვყავს, — ცივად გაისტუმრა კლეისტერმა ხანჯალაძე.

ხანჯალაძე დარეტიანებულ ქათამსავით მიფრატუნებდა ქუჩაში.

— მეტი ჯანი არაა. უნდა კერძო ექიმს მივმართო. ეს რაღაც ათი მილიონი მიჰყავის იმას მივაჩეჩებ, — გაიფიქრა ხანჯალაძემ და მის ახლო მცხოვრები საბავშვო ექიმი სახლში წაიყვანა.

— ეს წამალი ეღირება 60 მილიონი. შემოიარეთ ორი საათის შემდეგ. — ეუბნებოდა აფთიაქის მორიგე ფარმაცევტი გაოცებულ ხანჯალაძეს, რომელსაც ამ ციფრის გაგონებაზედ ელეთ-მელეთები დაემართა. მაგრამ მოგეხსენებათ ადამიანის ბუნება, იგი მუდამ იმედით სცხოვრობს. ხანჯალაძეს ჰენიალურმა აზრმა გაუელვა თავში და გაჰქუსლა საგარნიზონო ამბულატორიისაკენ.

— აი, თქვენ ავტომობილი და ვილაც ლადო მთხოვეთ, რომ ჩემთან წამოსულიყავით. ავტომობილი სამოცი მილიონი დამიჯდებოდა, მეკი ათი მილიონის მეტი არა მქონდა... ეხლა ინებეთ ჩემი მოწმობა სამსახურში ყოფნის შესახებ და მოაწერეთ ხელი ამ რეცეპტს, თორემ სამოცი მილიონი მე არა მაქვს წამლის საყიდლად.

— მე ვერ მოგიწერთ მაგ რეცეპტს, — უარი სთქვა კლეისტერმა.

— რატომ?

— ჩვენი ექიმის მიერ არაა მოწერილი ეგ რეცეპტი.

— დაიცათ. თქვენ საბავშვო ექიმი არა გყავთ, მე რა ვქნათ?

— ჩაწერეთ გაზეთში, რომ არა გვყავს საბავშვო ექიმი, ბებია, ჰინეკოლოგი... რეცეპტს კი ვერ მოგიწერთ.

ხანჯალაძე გაშტერებული იდგა და კლეისტერს შესცქეროდა. კლეისტერმა თავი ძირს ჩაღუნა და გაზეთს კითხვა დაუწყო, ხანჯალაძეს გული ეჩუყებოდა და ბოლოს ყელში აწვებოდა. მძიმედ მოტრიალდა და გამოვიდა ამბულატორიიდან.

მეორე დღეს ხანჯალაძე უფარაჯოთ მოვიდა, გარედ ცივოდა და საშინლად ძაგძაგებდა,

— კაცო როცა ცხელოდა ფარაჯა გეცვა და ეხლა ცივა და გაგიხდია? გაკვირვებით ეკითხებოდნენ მას ამხანაგები.

— ჩემი ფარაჯა აფთიაქმა მიირთვა. მოკლედ მოუჭრა მათ სიტყვა. მეორე დღეს ხანჯალძეს ჩექმების მაგიერ ძველი ბოტინკები ეცვა, ხანჯალაძის ფეხის ცერები ქვეყნიერებას სალამს უძღვნიდენ.

— ექიმმა და აფთიაქმა დაისაკუთრეს. — იყო ხანჯალაძის პასუხი ამხანაგების შეკითხვაზედ.

მეოთხე დღეს მას დაგლეჯილი და საზაფხულო ხალათი ეცვა. სციოდა. ძაგძაგებდა.

— ექიმმა და აფთიაქმა ჰყლაპეს... იყო ხანჯალაძის პასუხი. მეშვიდე დღეს ხანჯალაძეს აღარც საზაფხულო ხალათი, აღარც დაგლეჯილი შარვალი და აღარც ბოტინკები ეცვა. დადიოდა დაწესებულების დერეფანში, ქაღალდს კბილებით ჰგლეჯდა და გაიძახოდა.

— როდის გვექნება საკუთარი ამბულატორია, როდის გვეყოლება საკუთარი ექიმი! როდის მოგვაშორებენ ზევითა სართულში რომ ჩვენთვის გამოუსადეგარი ამბულატორია არის...

ხანჯალაძე ამ ჟამად პროფესორ ალადაშვილის ფსიქიატრიულ კლინიკაში იმყოფება. იგი მოთავსებულია ერთ პატარა ოთახში, სადაც მას ერთ კუთხეში ამბულატორია აღმოუჩენია, მეორეში — უფასო წამლები, მესამეში — საზამთრო ტანისამოსი და მეოთხეში — ავტომობილი. ექიმთა აზრით მას „კომბინიურ იდეია ფიქსის“ ნიშნები აქვს აღმოჩენილი, და როგორც ასეთი კლინიკაში საუკეთესო ეკზემპლიარათ ითვლება.

გორმანი.

მეცნიერება და ტეხნიკა

წყალქვეშა კინემატოგრაფია.

ვინ არ იცის თუ როგორი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ფოტოგრაფიას და კინემატოგრაფიას. თანამედროვე ტეხნიკის განვითარების უდიდესმა გაქანებამ უფრო თვალსაჩინო გახადა ეს მოვლენა. ფოტოგრაფია უდიდეს როლს თამაშობს ჩვენი ცხოვრების ყოველ მოვლენაში და ეს ღირებულება მისი მეტად თვალსაჩინოა ზოოლოგიაშიც.

ამ უკანასკნელ დრომდე ზღვის ძირზე მოზარდი მცენარეულობა სავსებით შეუსწავლელი იყო მეცნიერების მიერ მის ბუნებრივ პირობებში. ეს სიძნელე გადალახული იქნა კინემატოგრაფიის მოხმარებით. მაგრამ მანამ, სანამ ამ ახლო წარსულში არ იქნა გამოგონებული განსაკუთრებული საშვალება ზღვის ფსკერზე მოზარდ მცენარეების გადასაღებათ, ფოტოგრაფია მიუხედავად იმისა, რომ იხმარებოდა ამ მიზნით, სასურველ შედეგებს ვერ აღწევდა. ამას წინად გამოიგონეს ისეთი აპარატი, რომლითაც შესაძლებელი ხდება წყლის ქვეშ სურათების გადაღება კინემატოგრაფიულ ლენტძე. ეს ხელსაწყო დაამზადა ინგლისელმა კაპიტან უილიამსღონმა, თავისი ორი ვაჟის აქტიური დახმარებით. პირველ ხანებში ამ ხელსაწყოს ხმარობდენ ზღვის ფსკერზე სხვა და სხვა ღრუბლებისა და მარგალიტების დასაჭერად.

ის შესდგება ორმაგი ადვილად გასაშლელი მილისაგან, რომელის დიამეტრი (სიგანე) უდრის 3 ფუტს. მილი გაკეთებულია ფოლადის ფირფიტებისაგან, რომლებიც ერთი ერთმანეთს ჰფარავს თავისი კიდეებით და ჩამოკიდებული არიან რკინის რგოლებს შორის. ეს რგოლებივე წარმოადგენენ მილის ჩონჩხს. ლითონის ნაწილის ზევით მოთავსებულია წყლისაგან გაუვალი რეზინის გარსი. მილის ძირი მორგვალებული კამერის სახისაა 5 დიამეტრით. კამერის გარე ნაწილში დატნეულია მინის ფანჯარა.

მთელი აპარატი ეშვება ძირს (წყალში) მისთვის სპეციალურად მოწყობილ ნავიდან. ამავე ნავიდან ეშვება წყალში აგრეთვე ბატარეია სინდიყის (ვერცხლის წყალია) ასანთებით, მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ ღამით არის საჭირო. ზღვის წყალი ისეთი წმინდაა, რომ მზიან დღეებში კინემატოგრაფიულ აპარატს შეუძლია იმუშაოს წყალში 40—60 ფუტის სიღრმეზე. თვალდევნისათვის დანიშნულ კამერაში რაიმე ხიფათის მოლოდინზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან მილის შიგნით დაცულია ჰაერის ისეთი დაწოლა, რომელიც ეთანასწორება წყლის დაწოლას, რისთვისაც მოწყობილია ორი ქურქელი ერთი ჰაერისათვის და მეორე კი წყლისათვის. ერთი მეთვალყურე მუშაობს კამერაში, ხოლო მეორე ამოძრავებს მილს, ისე რომ აპარატი სურვილისამებრ შეიძლება მიაბრუნ-მოაბრუნო, ჩაუშვა სიღრმეში ან ზევით ამოსწიო.

ფ. ხ.

ბრძანება

ქართულ მსრ. დივიზიის პოლიტ-განყოფილებისადმი.

18 ნოემბერი 1923 წ. ქ. თბილისი.

§. 1

შემჩნეულია, რომ ზოგიერთ ნაწილებში სხვა და სხვა მოვალეობათა ასრულებისათვის, როგორიც არის კანცელარიაში მუშაობა და სხვა, სარგებლობენ საკლუბო-საბიბლიოთეკო და სასკოლო შტატებით. ამისათვის ვბრძანებ:

1. ყველა ის პირები, რომლებიც ასრულებენ სხვა თანამდებობას და გატარებულნი არიან საკლუბო-სასკოლო, ან საბიბლიოთეკო შტატში სასწრაფოდ იქმნან მოხსნილი დაკავებულ შტატიდან.—

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აღნიშნულ დარგების შტატზე ჩარიცხვა შესაძლებელია პოლიტ და კულტ მომუშავეების, მხოლოდ პოლიტ-განყოფილების ოფიციალურ ნებართვით და არა თვით ნაწილის მიერ.—

2. სასტიკად აიკრძალოს პოლიტ-განყოფილების სანქციის გარეშე მიღება და დათხოვნა კლუბის, ბიბლიოთეკის და სკოლის მომუშავეებისა.

3. არ იქნეს ჩამოყენებულ, ან აღმატება მიცემულ მე-2-ე მუხლში აღნიშნულ მომუშავეების, თუ არ იქნება შესაფერისი თანხმობა თვით ამ დარგის განყოფილებების უფროსების და პოლიტ-განყოფილების უფროსის დასტური.—

4. არ იქმნეს გადაყვან-გადმოყვანა ერთი ნაწილიდან მეორე ნაწილში, ან სხვა და სხვა კურსებზე გაგზავნა, თუ არ იქნება თანხმობა იმა თუ იმ დარგის განყოფილების უფროსის და დასტური პოლიტ-განყოფილების უფროსის.—

ქ. დ. სამხედრო კომისარი და პოლიტ-
განყოფილების უფროსი **ჟღენტი.**

საიგიტპროპო ნაწილის უფროსი: **ხ. მახარაძე.**

დაკარგე გაცემული პირადობის მოწმობა ქართულ ცხენოსან ლეგიონის უფროსი მედიცინის ექიმზე ამხ. ანტონოვი დუვონზე №5399 ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო ბარათი ოზურგეთის მაზრის განათლების მუშაკთა კავშირის მიერ გაცემული №439 აგრეთვე სტაჟისა და განთავისუფლების ქაღალდები ლეონიდე ვლ. ჩხიკვიშვილის სახელობაზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხის-მგებელი რედაქტორი — დ. ხანდამაძე.

ნ. დ. ს. ტ. ტირაჟი 1200. სამხედრო სტამბა